

ტესტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით დავალებათა ინსტრუქციებს.

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 70.

ტესტზე სამუშაოდ მოცემულია 3 საათი და 30 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



1-24 დავალების ინსტრუქცია:

ოთხი სავარაუდო პასუხიდან (ა, ბ, გ, დ) მონიშნეთ ერთი.

პასუხების ფურცელზე შესაბამისი უჯრა მონიშნეთ X ნიშნით.

1-6 დავალების საილუსტრაციო მასალა



1. ხელოვნების რომელი დარგის ნიმუშია წარმოდგენილი ფოტოზე?
 - ა. დაზგური ფერწერა;
 - ბ. მონუმენტური მხატვრობა;
 - გ. მინიატურა;
 - დ. ხატწერა.



2. ხელოვნების რომელი ჟანრის ნიმუშია წარმოდგენილი სურათზე?

- ა. ალეგორიული;
- ბ. ყოფითი;
- გ. ბატალური;
- დ. ისტორიული.



3. რომელი მხატვრული ეპოქის ხელოვნების ნიმუშია წარმოდგენილი ფოტოზე?

- ა. კლასიციზმი;
- ბ. რენესანსი;
- გ. ბაროკო;
- დ. მანიერიზმი.



4. წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშის ავტორია

- ა. ჟაკ ლუი დავითი;
- ბ. რემბრანტ ვან რეინი;
- გ. ანდრეა მანტენია;
- დ. სანდრო ბოტიჩელი.




5. რომელი მხატვრული თავისებურება არ არის დამახასიათებელი წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშისათვის?
- ა. სურათის დეკორატიული ხასიათი, რასაც მეორეხარისხოვანი დეტალების ზედმიწევნით დამუშავება განსაზღვრავს;
 - ბ. შუქ-ჩრდილის თანაბარი მონაცვლეობა, რაც ფორმათა მოდელირების, მათი პლასტიკურობის გამოვლენის საფუძველია;
 - გ. სიმეტრიულად გაწონასწორებული კომპოზიცია, რაც სურათის სიმშვიდისა და ჰარმონიულობის განმსაზღვრელია;
 - დ. ადამიანის ფიგურები და სივრცე, რომელიც შექმნილია ანატომიისა და პერსპექტივის კანონების ცოდნის გარეშე.



6. ჩამოთვლილთაგან რომელ მხატვრულ ხერხებს არ იყენებს ოსტატი სურათის კომპოზიციური სტრუქტურისა და მხატვრული სახის ხასიათის შესაქმნელად?

- ა. სურათზე გამოსახულებათა განლაგების თავისებურებით შექმნილი წყვეტილი რიტმი, რაც კომპოზიციის მელოდიურობას განსაზღვრავს;
- ბ. მოქნილი და პლასტიკური ხაზის, ასევე გამჭვირვალე ნახატის საშუალებით შექმნილი სიმსუბუქის შეგრძნება და დეკორატიული ხასიათი;
- გ. სურათზე გამოსახულებათა განლაგების თავისებურება (სიღრმიდან გარეთ და ისევ სიღრმისკენ) ტალღოვანი ფორმის ერთიან კომპოზიციურ ხაზს ქმნის;
- დ. გამოსახულებათა უტრირებით და მკვეთრი ფერადოვანი კონტრასტებით შექმნილი მხატვრული სახის ექსპრესიული ხასიათი.

7-11 დავალების საილუსტრაციო მასალა




7. რომელი მხატვრული ეპოქის ან/და სტილის არქიტექტურული ნაგებობაა წარმოდგენილი სურათებზე?

- ა. ანტიკური;
- ბ. რენესანსი;
- გ. ბაროკო;
- დ. კლასიციზმი.

1.



2.




8. რომელი კულტურის კუთვნილებაა საილუსტრაციო მასალაზე წარმოდგენილი არქიტექტურული ნიმუშები?

- ა. საფრანგეთის;
- ბ. ძველი რომის;
- გ. ნიდერლანდური;
- დ. ძველი საბერძნეთის.

1.



2.




9. რა არ არის დამახასიათებელი პირველ სურათზე წარმოდგენილი ნაგებობისათვის?

- ა. არქიტექტურული დეტალების სიმსუბუქე;
- ბ. თავშეკავებული დეკორატიული გაფორმება;
- გ. ორსართულიანი არქიტექტურული კონსტრუქცია;
- დ. მკვეთრად გამოხატული მონუმენტალიზმი და სადღესასწაულო ხასიათი.

1.



2.




10. რომელი არქიტექტურული ელემენტი აქვს საერთო წარმოდგენილ ნაგებობებს?

- ა. ნაგებობის ცენტრალური გამჭოლი თაღოვანი ღიობი;
- ბ. მასიური ატიკი მიძღვნილი ხასიათის დეკორატიული წარწერით;
- გ. მასიური კვარცხლბეკი (პოსტამენტი);
- დ. სვეტები, როგორც დეკორატიული სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი.

1.



2.



11. რა აქვს საერთო წარმოდგენილ ნაგებობებს?

- ა. არქიტექტურული ნაგებობის კონსტრუქცია;
- ბ. არქიტექტურული კომპოზიციის სტრუქტურა;
- გ. არქიტექტურული ნაგებობის დანიშნულება;
- დ. არქიტექტურული კომპოზიციის მხატვრული გადაწყვეტა.

12-17 დავალების საილუსტრაციო მასალა

1.



2.



12. რა დანიშნულების მქონე არქიტექტურული ნაგებობაა წარმოდგენილი სურათებზე?

ა. საფორტიფიკაციო;

ბ. საკულტო;

გ. მემორიალური;

დ. სამრეწველო.

1.



2.



13. არქიტექტურული ნაგებობის რა ნაწილია წარმოდგენილი სურათებზე?

- ა. ინტერიერი;
- ბ. ექსტერიერი;
- გ. სამრეკლო;
- დ. სტოა.

1.



2.



14. რა სტილის არქიტექტურული ნაგებობაა წარმოდგენილი პირველ სურათზე?

ა. რომანული;

ბ. გოთური;

გ. კლასიციზტური;

დ. ანტიკური.

1.



2.



15. რა არ არის დამახასიათებელი მეორე სურათზე წარმოდგენილი ნაგებობისათვის?

- ა. შეისრული თალებისა და ნერვიურების საშუალებით შექმნილი გადახურვის კონსტრუქცია;
- ბ. ვიტრაჟები, ჩასმული სარკმლის ღიობებში;
- გ. ჭერი, შექმნილი ნახევარწრიული ფორმის თალებისა და ცილინდრული ფორმის ჯვრული კამარებით;
- დ. უხვი და მრავალფეროვანი დეკორატიული გაფორმება.

1.



2.



16. ნაგებობის კედლების გლუვი მასები შეისრული ფორმის, ვიტრაჟით გაფორმებული სარკმელებით შეიცვალა, ხოლო ცილინდრული ფორმის კამარები კი შეისრული ფორმის კამარებმა ჩაანაცვლა. ეს ინოვაციური ცვლილებები არქიტექტურაში, მხატვრული თუ კონსტრუქციული თვალსაზრისით, საინტერესო შედეგების საფუძველი გახდა. თქვენი აზრით, ჩამოთვლილთაგან რომელი შედეგი არ შეიძლება ყოფილიყო მიღწეული აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე?

- ა. გაცილებით შემსუბუქდა არქიტექტურული კონსტრუქციები;
- ბ. არქიტექტურულმა კონსტრუქციებმა დეკორატიული ფუნქციაც შეითავსა;
- გ. შეიცვალა არქიტექტურული ნაგებობის შიდა სივრცის რიტმული გააზრება;
- დ. ინოვაციური ცვლილებები მაქსიმალური სისადავისა და ზომიერების საფუძველად იქცა არქიტექტურაში.

1.



2.



17. რა აქვთ საერთო საილუსტრაციო მასალაზე გამოსახულ ნაგებობებს?

ა. სიგრძეში ჰორიზონტალურად გამლილი ცენტრალური ნავი;

ბ. სხვადასხვა ფორმის თაღოვანი ღიობებით სამიარუსად დანაწევრებული ცენტრალური ნავის კედელი;

გ. მასიური, პროფილირებული, თუმცა სადა ფორმის სვეტები;

დ. არქიტექტურული ნაგებობის სადღესასწაულო ხასიათი.

18-24 დავალების საილუსტრაციო მასალა

1.



2.



18. რა მასალაშია შესრულებული პირველ სურათზე წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუში?

ა. მარმარილო;

ბ. ქვიშაქვა;

გ. ალუბასტრი;

დ. ტერაკოტა.

1.



2.



19. ჩამოთვლილთაგან რომელი მხატვრული ეპოქის ხელოვნების ნიმუშია წარმოდგენილი მეორე სურათზე?

- ა. ბაროკო;
- ბ. რენესანსი;
- გ. კლასიციზმი;
- დ. რომანტიზმი.

1.



2.



20. ვინ არის პირველ სურათზე წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშის ავტორი?

ა. ბრუნელესკი;

ბ. ანტონიო კანოვა;

გ. ლორენცო გიბერტი;

დ. ლორენცო ბერნინი.

1.



2.



21. ვინ არის მეორე სურათზე წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშის ავტორი?

ა. ანდრეა დელ ვეროკიო;

ბ. დონატელო;

გ. ბენვენუტო ჩელინი;

დ. ლუკა დელა რობია.

1.



2.



22. ორი სხვადასხვა ავტორის მიერ შექმნილი ქანდაკება ბიბლიურ პერსონაჟს დავითს მოქმედების განსხვავებულ მომენტში წარმოგვიდგენს. თქვენი აზრით, რამ განაპირობა ოსტატთა არჩევანი?

ა. სურვილმა, გამოეხატათ გამარჯვებული გმირის თავდაჯერებულობა და შინაგანი სილაღე;

ბ. მსოფლმხედველობამ, რაც ეპოქისათვის დამახასიათებელი მხატვრული ნიშნების საფუძველს წარმოადგენს;

გ. სურვილმა, გადმოეცათ მტერზე გამარჯვების ვნება;

დ. ფსიქოლოგიური ტიპის შექმნის სურვილმა, რაც ზედაპირის დამუშავების თავისებურების შედეგს წარმოადგენს.

1.



2.



23. სტილური თვალსაზრისით რომელი მხატვრული თავისებურება არ არის დამახასიათებელი პირველ სურათზე წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშისათვის?

ა. დინამიკური კომპოზიცია, შექმნილი დაჭიმული სხეულის დეტალური ასახვითა და თმისა და მოსასხამის მკვეთრი ფორმების საშუალებით;

ბ. მძაფრი ემოცია, შექმნილი შუქ-ჩრდილის კონტრასტითა და ექსპრესიული ფორმებით;

გ. მსუბუქი კონტრასტის საშუალებით შექმნილი ფიგურის თავისუფალი პოზა;

დ. დრამატიზმით აღსავსე მხატვრული სახე.

1.



2.



24. სტილური თვალსაზრისით რომელი მხატვრული თავისებურება არ არის დამახასიათებელი მეორე სურათზე წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშისათვის?

- ა. ფრონტალურად გაშლილი კომპოზიცია;
- ბ. ანატომიის საფუძველზე შექმნილი სხეულის დაჭიმული, მკვეთრი ფორმები;
- გ. კომპოზიციის მშვიდი, გაწონასწორებული ხასიათი;
- დ. შუქ-ჩრდილის თანაბარი მონაცვლეობა, როგორც სხეულის პლასტიკის გამოვლენის საშუალება.

დავალება 25-31. წინადადების შევსება

ინსტრუქცია: დავალებებში მოცემულია წინადადებები, რომლებშიც ერთი ან რამდენიმე სიტყვაა გამოტოვებული. ცარიელი ადგილები წინადადებაში ხაზებითაა აღნიშნული. წინადადება სიტყვებით ისე უნდა შეივსოს, რომ აზრობრივად გამართული, ჭეშმარიტი მტკიცებულება მივიღოთ. პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე.

წიმუში: სახვითი ხელოვნების ელემენტს, რომელიც გამოსახულების ზედაპირის თავისებურებას გამოხატავს ფაქტურა ეწოდება.

25. _____ ხატავდნენ ბუნებას ღია ცის ქვეშ. სინათლისა და ფერის საშუალებით წამიერი შთაბეჭდილების გადმოცემა მათი ინტერესის ძირითად საგანს წარმოადგენდა.

26. ფერების შესაზავებელ დაფას _____ ეწოდება.

27. ფერთა თეორიაში _____ და _____ არ განიხილება როგორც ფერი.

28. პარტენონი _____ ორდერშია აგებული.

29. თეორიდან შავ ფერში თანდათანობით გადასვლა რუხის _____ ქმნის.

30. ხაზების ან/და ფორმების რიტმული განმეორებით _____ იქმნება.

31. არქაული ხანის ბერძნული ქანდაკების ტიპს, რომელიც შემოსილ ქალს სპეციფიკური ღიმილითა და დეკორატიული თმებით წარმოგვიდგენს _____ ეწოდება.

დავალება 32- 37. „ჭეშმარიტია-მცდარია“

ინსტრუქცია: შეაფასეთ, ჭეშმარიტია თუ მცდარი მოცემული მტკიცებულება და მონიშნეთ შესაბამისი უჯრა. თუ მიიჩნევთ, რომ მტკიცებულება მცდარია, საგანგებოდ გამოყოფილ არეში ჩაწერეთ მცდარად შეფასებული მტკიცებულების სწორი ფორმულირება. მხოლოდ მცდარის შესაბამისი უჯრის მონიშვნის შემთხვევაში პასუხი სწორად არ ჩაითვლება.

შენიშვნა: თუ ფიქრობთ, რომ ფორმულირება მცდარია და თვლით, რომ მტკიცებულებაში მოცემული განმარტება თავისთავად სწორადაა ჩამოყალიბებული, თუმცა მოცემული ტერმინის ან/და სიტყვის ახსნას არ წარმოადგენს, მაშინ განმარტება უცვლელი დატოვეთ და იმავე განმარტებისთვის მოძებნეთ და მიუსადაგეთ შესაბამისი ტერმინი ან/და სიტყვა.

ნიმუში:

დავალება №

ფოტოგრაფიაში მქარია, ხაერნ მონოქრომული ფე-
ხენი მონსტრსე, კოლმსუაი ფეხებია.

32. ეგვიპტურ ხელოვნებაში ამარნის კულტურის (ეხნატონის პერიოდის) პორტრეტულ ნიმუშებს გარეგნული სახასიათო ნიშნების რეალისტური ასახვა ახასიათებს.

33. რელიეფი არის ზედაპირის სწორი და ბრტყელი ფორმა.

34. მხატვრების მიერ კოლაჟის ტექნიკით შესრულებული კომპოზიციები XX საუკუნის დასაწყისში იქმნება.


35. აგურის, როგორც სამშენებლო მასალის გამოყენება, პირველად ძველ რომში დაიწყო.

36. ხატწერაში დაცემულ ჩრდილს არ გამოსახვენ.

37. თავშეყრის წერტილი ყველა ფერწერული თუ გრაფიკული სურათის აუცილებელი ელემენტია.

დავალება 38. დაადგინეთ შესაბამისობა

ინსტრუქცია - სურათზე წარმოდგენილი ნამუშევრის შესაქმნელად გამოყენებულია სახვითი ხელოვნების ელემენტები და პრინციპები, რომელთა დასახელებები მოცემულია ჩამონათვალში:



- ა. შუქი;
- ბ. ჯვარედინი დაშტრიხვა;
- გ. ათინათი;
- დ. დაცემული ჩრდილი;
- ე. ჩრდილი;
- ვ. მონასმი;
- ზ. კონტური;
- თ. რეფლექსი.

ჩამონათვალში (ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, თ) სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების 8 დასახელებაა მოცემული. 6 (1, 2, 3, 4, 5, 6) მათგანი მითითებულია რემბრანტის ავტოპორტრეტზე. შეუსაბამეთ ჩამონათვალს სურათზე მითითებული ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების აღმნიშვნელი რიცხვები და შესაბამისი უჯრა პასუხების ცხრილში X-ით მონიშნეთ. პასუხები გადაიტანეთ პაუხების ფურცელზე.

წერიტი დავალებების ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით დავალებებს და გაიაზრეთ ისინი.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელებია, არ გასწორდება და შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ოთხივე წერით დავალებას თან ახლავს მითითებები. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ ნაშრომი აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა (საკუთარი მოსაზრებების მაგალითებით დასაბუთების) და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.

მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული, აზრი გასაგებად გამოხატული.

შავი სამუშაოსათვის განკუთვნილი ფურცლები არ გასწორდება. გადაიტანეთ ნაშრომი პასუხების ფურცელზე.

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ, ფრჩხილებში ნუ ჩასვამთ და ნურც დაჯღაბნით.

დავალება 39 (4 ქულა). მიაკუთვნეთ წარმოდგენილი ფერწერული ნიმუში გარკვეულ მხატვრულ ეპოქას ან/და მიმდინარეობას. ხელოვნების ნიმუშის და თქვენ მიერ დასახელებული პერიოდისთვის დამახასიათებელ მხატვრულ ნიშნებზე არგუმენტირებული მსჯელობით გაამყარეთ თქვენი მოსაზრება.



შეასრულეთ წერითი დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

1. გაანალიზეთ წარმოდგენილი სურათის მხატვრული თავისებურებები სახვითი საშუალებების მიხედვით;
2. თქვენ მიერ გაანალიზებული სახვითი საშუალებების მიხედვით მიაკუთვნეთ სურათი მხატვრულ სტილს/მიმდინარეობას;
3. განმარტეთ თქვენ მიერ დასახელებული მხატვრული სტილის/მიმდინარეობის ზოგადი თავისებურება;
4. იმსჯელეთ სტილის/მიმდინარეობისა და სურათის მხატვრულ-სტილურ შესაბამისობაზე.



დავალება 40 (4 ქულა). რომელი ეპოქის ან/და სტილის არქიტექტურის ნიმუშია წარმოდგენილი ფოტოზე? წარმოაჩინეთ თქვენ მიერ დასახელებული სტილის განმსაზღვრელი მხატვრული ნიშნები. გააანალიზეთ წარმოდგენილი ნაგებობის არქიტექტურული სტრუქტურა და დაადგინეთ, რომელი ეპოქის არქიტექტურული ნაგებობის თავისებურება უდევს საფუძვლად წარმოდგენილ ნიმუშს? თქვენი მოსაზრება გაამყარეთ არგუმენტებით.



დავალება 41 (4 ქულა). საილუსტრაციო მასალაზე წარმოდგენილია ქართველი მხატვრის დავით კაკაბაძის ფერწერული სურათი „იმერეთი - დედაჩემი“. თქვენი აზრით, რა იდეური კავშირია სურათის წინა და უკანა პლანის გამოსახულებებს შორის? გააანალიზეთ სურათი და დაადგინეთ: რა მხატვრულ საშუალებებს იყენებს მხატვარი (სულ მცირე 2 საშუალება მაგ: სახვითი ხელოვნების ელემენტი, პრინციპი, მხატვრული ხერხი) სურათზე აზრისა და იდეის გადმოსაცემად?

დავალება 42 (15 ქულა). გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული რეპროდუქციები და მითითებების 4 პუნქტის მიხედვით შეასრულეთ დავალება.

შეადარეთ სურათები

1. დიეგო ველასკესი. მენინები. 1656



2. პაბლო პიკასო. მენინები. 1957



42.1. დააკვირდით წარმოდგენილ ნიმუშებს და იმსჯელეთ ორიგინალისა და ამავე თემაზე შექმნილი ინტერპრეტაციის მსგავსებასა და განსხვავებაზე:

რა არის გამოსახული მოცემულ სურათზე? ხელოვნების რომელი დარგის ნიმუშებია წარმოდგენილი? რომელი სახვითი საშუალებები და სახვითი ხერხებია ავტორების მიერ გამოყენებული მხატვრული სახისა და ხასიათის შესაქმნელად? (5 ქულა)

1. დიეგო ველასკესი. მენინები. 1656



2. პაბლო პიკასო. მენინები. 1957



42.2. ხელოვნების თითოეული ნიმუში სტილური მახასიათებლების მიხედვით მიაკუთვნეთ ხელოვნების ისტორიის გარკვეულ პერიოდს და/ან მხატვრულ მიმდინარეობას. დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება! (4 ქულა).

1. დიეგო ველასკესი. მენინები. 1656



2. პაბლო პიკასო. მენინები. 1957



42.3. განიხილეთ წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშები ისტორიულ და კულტურულ კონტექსტში - იმსჯელეთ, ახდენს თუ არა გავლენას ისტორიის და კულტურის თავისებურებები ხელოვნების განვითარებაზე, რამდენადაა ეს გავლენები ასახული მოცემულ გამოსახულებებზე. თქვენი მოსაზრებები გაამყარეთ არგუმენტებით (4 ქულა).

1. დიეგო ველასკესი. მენინები. 1656



2. პაბლო პიკასო. მენინები. 1957



42.4. გამოხატეთ საკუთარი დამოკიდებულება ხელოვნების ნიმუშების მიმართ, დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება (2 ქულა).